ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5162098

ნომერი: AR1784334

თარიღი : 26.10.2020

გაცემის თარიღი : 27.10.2020

გაცნობის თარიღი : 28.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საქანელა , N 23; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, ქუჩა საქანელა, მიმდებარედ ნაკვეთი 03/042; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. ჯავახიშვილი (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), N 11; ქალაქი თბილისი , სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ, (ნაკვ. 3\8); ქალაქი თბილისი , ქუჩა საქანელა , N20-ის მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით დანელია პ/ნ 01024034923
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 4 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020

წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 26 ოქტომბერს №AR1784334 განცხადებით მომართა დავით დანელიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საკადასტრო კოდების მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის წინასწარი ესკიზი.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებაში, კერძოდ მიუთითებს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკადასტრო კოდები სრულად არ არის მითითებული და შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის შესწორებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ 2020 წლის 22 სექტემბრის №AR1775518 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.15.04.003.013, №01.15.04.003.008, №01.15.04.003.005, №01.15.04.003.044, №01.15.04.003.048, №01.15.04.003.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 20860 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზის წინასწარი შეთანხმება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველში ავტომატურად აისახა რუკაზე საჯარო რეესტრის ამონაწერების მიბმის დროს დაფიქსირებული მხოლოდ პირველი ორი საკადასტრო კოდის მონაცემები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებაში და:
1.1. მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველს დაემატოს:

- საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.005
- მისამართი: ქალაქი თბილისი, მ.ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ.ელბაქიძე), №11
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 230 კვ.მ.
- მესაკუთრე(ები): შპს ,,ცენტრ პლაზა'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: №204483335); თენგიზ გასვიანი (პ/ნ: №01025008256)

- საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.044
- მისამართი: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა №12
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 448 კვ.მ.
- მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: №204566978)

- საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.048
- მისამართი: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა №12, ქალაქი თბილისი საქანელას ქუჩა, მიმდებარედ ნაკვეთის 03/042
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 19118 კვ.მ.

- მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: №204566978)

- საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.024
- მისამართი: ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №23
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 831 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: №204566978).

1.2. სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 22 სექტემბრის №AR1775518 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ, ქალაქ თბილისში, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (ნაკვ. 3/8), ქალაქ თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), №11, ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12, ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12, ქალაქ თბილისში საქანელას ქუჩა, მიმდებარედ ნაკვეთის 03/042, ქალაქ თბილისში, საქანელას ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.15.04.003.013, №01.15.04.003.008, №01.15.04.003.005, №01.15.04.003.044, №01.15.04.003.048, №01.15.04.003.024) მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს''.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5151450 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.